უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

თინათინ კალანდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თინათინ კალანდაძე

06.07.2015.

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემაა უსახლკარობის პრობლემა, კერძოდ, უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში. ნაშრომის საკვლევი საკითხები მოიცავს სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო სტანდარტებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ეროვნულ სამართლებრივ ინსტრუმენტებს და არსებული სოციალური პოლიტიკის ხარვეზებს, სათანადო საცხოვრებლის უფლების მქონე პირთა კატეგორიებს, უსახლკარო პირთა მონაცემთა ბაზების წარმოების საკითხს, მიუსაფარი პირებისთვის მოწყობილ დროებით თავშესაფარში/კარვებში არსებულ სიტუაციას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებს, რისკ-ფაქტორებს და რისკ-ჯგუფებს, უსახლკარო ადამიანების მახასიათებლებს, პრობლემებს და საჭიროებებს, მათ ჯანმრთელობის პრობლემებს და რისკ-ფაქტორებს, უსახლკარობის ინტერვენციის მოდელებს ევროპაში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკითხის როგორც რაოდენობრივად გაზომვა, ასევე სიღრმისეულად შესწავლაც, გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი, სტრუქტურირებული, დახურული და ღია კითხვების შემცველი ანკეტა, რომელიც ჩატარდა ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უსახლკარობა სტრუქტურული და პიროვნული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია, უსახლკარო ადამიანებში აშკარაა გამომწვევი მიზეზების/ „ტრიგერების“ და რისკ-ფაქტორების ერთობლიობა, რომლებსაც შეიძლება პირდაპირ არ გამოეწვია მათი უსახლკარობა, მაგრამ შეიძლებოდა ირიბი ძალით დიდი გავლენა მოეხდინა მათ უსახლკაროდ გახდომაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უსახლკარობის მიზეზები, უსახლკარობის რისკ-ფაქტორები და რისკ-ჯგუფები, უსახლკარო პირთა მახასიათებლები, პრობლემები და

საჭიროებები, უსახლკარობის გავლენა ჯანმრთელობაზე, საცხოვრებლის უფლება, უსახლკარობის ინტერვენციის მოდელები ევროპაში.

მადლობა

მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ შორენა საძაგლიშვილს, კვლევის ყველა ეტაპზე დახმარებისთვის. ამ ნაშრომის მომზადება წარმოუდგენელი იქნებოდა მისი რჩევების და მხარდაჭერის გარეშე.